ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 174

"25" ივნისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა, კორპუსი №23ა-ში (საკადასტრო კოდი №01.17.10.007.019.01.506 და №01.17.10.007.019.01.507) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა კორპუსი №23ა-ში (საკადასტრო კოდები: №01.17.10.007.019.01.506 და №01.17.10.007.019.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 22 მაისის №19.564.726 განკარგულების დანართი №1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

	ქ. თბილისი, წულუკიძის ქუჩა, კორპუსი №23ა (ს/კ №01.17.10.007.019)				
№	სახელი და გვარი	პირადი №	დაკავებული ბინის სართული და ბინის ნომერი	ფაქტობრივად დაკავებული ფართი	საკადასტრო კოდი
1	ნინო კიკვაძე	01011071205	1	66.69კვ.მ	01.17.10.007.019.01.506
2	დავით თათოშვილი	01024019101	1	62.23 კვ.მ	01.17.10.007.019.01.507